საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 301

08 05 2017წ.

ქ. თბილისი

„პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 27 იანვრის №119 ბრძანების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული "მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის ხელშეწყობის ქვეპროგრამის" ფარგლებში პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის ანალიტიკოსის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, კახაბერ ერამის, 2017 წლის 05 მაისის №465236 და 2017 წლის 05 მაისის №470056 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ" და „ნ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 27 იანვრის №119 ბრძანების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის ხელშეწყობის ქვეპროგრამის" (შემდგომში - ქვეპროგრამა) ფარგლებში, 2017 წლის 10 მაისიდან 2017 წლის 19 მაისის ჩათვლით, გამოცხადდეს კონკურსი პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის ანალიტიკოსის შერჩევის მიზნით.
2. პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის ანალიტიკოსის თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური ხარისხი სოციალურ მეცნიერებებში, ფსიქოლოგიაში ან განათლების მეცნიერებაში;

ბ) განათლების კვლევებისა და შეფასებების მიმართულებით მუშაობის გამოცდილება;

გ) კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების გამოცდილება განათლების სფეროში;

დ) კვლევითი ანგარიშების შექმნის გამოცდილება;

ე) კომპიუტერული პროგრამების (Ms.Word, Ms. Excel, Ms.Power Point) კარგად ცოდნა;

ვ) ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

ზ) სასურველია ინგლისური ენის ცოდნა.

3. პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის ანალიტიკოსის ფუნქციებია:

ა) დანერგვის მხარდაჭერის ანგარიშების ანალიზი, განზოგადება როგორც დაწესებულებების, ისე დარგობრივ ჭრილში, შესაბამისი ანგარიშების მომზადება და შედეგების პრეზენტაცია;

ბ) მონაწილეობა მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის საჭიროებების განსაზღვრაში;

გ) სამუშაო შეხვედრებსა და მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვაში მონაწილეობა;

დ) გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მომზადება.

4. პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის ანალიტიკოსის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 ადგილზე,

5. პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის ანალიტიკოსის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება და მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს თვეში 1500 ლარის ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

6. პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის ანალიტიკოსის თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატმა კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი უნდა წარადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით (www.hr.gov.ge); საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) -„ჩემი რეზიუმე“ – ს „დამატებითი დოკუმენტაციის“ ბლოკში - კანდიდატმა აუცილებლად უნდა ატვირთოს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

ავტობიოგრაფია უნდა ადასტურებდეს კანდიდატის შესაბამისობას ძირითად საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;

აუცილებელია კანდიდატმა მიუთითოს 2 რეკომენდატორის სახელი და გვარი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი.

7. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

8. კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.

9. დაევალოს საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა და ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, www.eqe.ge, გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი თამარ სანიკიძე

ეროვნული იურიდიული პირი - საჯარო სამართლის სამართლებრივი ფორმა
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
202330566